



მედიაცენტრი • MediaCentre

12 მაისს თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციათა მედიაცენტრი გაიხსნა, რომელშიც გაერთიანებულია ოთხი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება”, “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”, “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” და “ახალი თაობა – ახალი ინიციატივა”. მედია ცენტრის მიზანია 2008 წლის 21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის შესახებ დროული და სანდო ინფორმაციის გავრცელება, საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით ამომრჩევლებისთვის კონსულტაციის გაწევა და მათგან შესაძლო დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიღება. მედია ცენტრის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს “ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო”.

მედიაცენტრი იმუშავებს შემდეგ რეჟიმში:

წინასაარჩევნო პერიოდში:

- წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების შესახებ;
- კანდიდატებს შორის საეთერო დროის და საგაზეთო სივრცის გადანაწილების შესახებ;
- წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების შესახებ;
- ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის შესახებ;
- წინასაარჩევნო პროცედურების კანონთან შესაბამისობის შესახებ.

არჩევნების დღეს:

- კენჭისყრის მიმდინარეობის შესახებ;
- საარჩევნო უბნებში ხმების დათვლის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ;
- კენჭისყრის დროს შესაძლო დარღვევების შესახებ.

არჩევნების შემდეგ:

- ხმების პარალელური დათვლის შედეგების შესახებ;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების შესახებ;
- არჩევნებთან დაკავშირებული სასამართლო დავების შესახებ.

მედია ცენტრი იმუშავებს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

მედიაცენტრის მისამართია, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #16 (II სართ, ბ.2ა)

ტელეფონი: 45 40 95, ელ.ფოსტა: mediacentre@telenet.ge.

